1) **კონკურსის ტესტის სტრუქტურა**

საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელთა შესარჩევი კონკურსის ტესტის სტრუქტურა
დავალება
1.ნორმატიული აქტები
საქართველოს კოსტიტუცია
„საჯარო სამსახურის შესახებ“ – საქართველოს კანონი
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ – საქართველოს კანონი
საქართველოს შრომის კოდექსი
„ზოგადი განათლების შესახებ“ – საქართველოს კანონი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 წლის 11 მარტს N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა
კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
2.წაკითხული ტექსტის გააზრება
3.ინფორმაციის ანალიზი
4.სიტუაციის ანალიზი
5.ლოგიკური მსჯელობა
6.მოსწავლის შეფასება
7.სკოლის შეფასება
8.კვლევითი უნარ–ჩვევები
9.სწავლების თანამედროვე მეთოდები

2) **ტესტირების დრო**

ა) საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელთა შესარჩევი კონკურსის ტესტირების ჩატარების დროდ განისაზღვროს 2013 წლის 21 მარტიდან 2013 წლის 23 მარტის ჩათვლით პერიოდი.

ბ)ტესტირებისათვის კანდიდატებს განესაზღვროთ 3 საათნახევარი (210 წუთი).

3) **ტესტირება ჩატარდება შემდეგ მისამართზე: თბილისი, გმირ კურსანდტთა ქ. №1** (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია).

4) **ტესტის ჩაბარების მიზნით, კანდიდატი ვალდებულია:**

ა) დროულად გამოცხადდეს ტესტირების ადგილზე;

ბ) თან იქონიოს:

ბ.ა) პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი;

ბ.ბ) თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი – ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

5) **ტესტირების პროცედურის დაწყების შემდეგ დაგვიანებული კანდიდატი ტესტირებაზე არ დაიშვება.**

6) **ტესტირებაზე გამოუცხადებლობა:**

ა) საპატიო მიზეზით ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანდიდატს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ტესტირების ჩატარება;

ბ) საპატიო მიზეზად ჩაითვლება კანდიდატის ტესტირებაზე გამოუცხადებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის ტესტირების პროცესზე გამოცხადებას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ტესტირების პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

7) **ტესტირების დროს კანდიდატს უფლება აქვს თან იქონიოს:**

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;

გ) ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები;

დ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა ნივთები სამინისტროს წინასწარი თანხმობით.

8) **ტესტირების დროს კანდიდატს ეკრძალება:**

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) ტესტირებაზე დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების და სხვათა გამოყენება;

გ) ტესტზე მუშაობის დაწყებამდე კანდიდატებს დაურიგდებათ ფურცლები დამატებითი მუშაობისათვის (ე.წ. შავი სამუშაო), რომელიც რჩება ტესტირების ადგილას და არ შემოწმდება.

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა კანდიდატისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) ტესტზე მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;
ვ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელება.

9) ტესტირების დროს წესის დარღვევა:

ა)ტესტირების დროს, ზემოთგანხილული წესების დარღვევის შემთხვევაში, კანდიდატი მიიღებს გაფრთხილებას;

ბ)დარღვევის განმეორების შემთხვევაში კანდიდატი იხსნება ტესტირებიდან და ეწერება 0 (ნული) ქულა;

გ) კანდიდატის მოხსნა ტესტირებიდან ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დამსწრე და ტესტირებიდან მოხსნილი კანდიდატი;

10) ტესტირების მიმდინარეობაზე მიმდინარეობს დაკვირვება ვიდეო – აღჭურვილობის მეშვეობით;

11) ტესტირების დასრულების შემდეგ, კანდიდატი მიღებულ ქულას ადასტურებს თავისი ხელმოწერით;

12) ტესტირების შედეგები ცნობილი გახდება ბოლო ტესტირების ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

13) ტესტირების შედეგების გასაჩივრებისათვის განისაზღვროს ტესტირების შედეგების გამოცხადების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღე;

14) კონკურსის შემდეგ ეტაპზე (გასაუბრება) გადასულ კანდიდატებთან გასაუბრებისათვის განისაზღვროს ვადა ტესტირების შედეგების გასაჩივრების დასრულებიდან 2 კვირის ვადაში;

15) გასაუბრების შედეგების გასაჩივრებისათვის განისაზღვროს 3 (სამი) სამუშაო დღე გასაუბრების შედეგების გამოცხადების შემდეგ;

16) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აუზრუნველყოფს კონკურსის შედეგებისა და გასაჩივრების ვადების გამოქვეყნებას სამინისტროს ვებ გვერდის საშუალებით.